

რედაქცია: სოლოლაკზე, ბ. ლის ქუჩაზე, მელიქი შვილის სახლში, № 43  
ქანტორა რედაქციისა: მელიქი შვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება ქანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროზა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.  
ფასი განცხადებებისა: ცხელით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციციროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

სამი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

1 ოქტომბრიდან  
ამ 1877 დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქი შვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი სამი თვის გაზეთისა—3 მან.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газеты „Дროза“.

ცალკე ნომერები

## „დროებისა“

თფილისის გარდა შემდეგ ქალაქებში ისიც იღება.

ბორჯომი—რკინის გზის სტანციის ბუფეტში.

ჭაბთაისში: სვიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბუღვართან,

გაქათაშაბანში—სტანციის ბუფეტში,

ხაშურში (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში,

ახალციხეს—უფ. ალ. მარძელოვის მაღაზიაში.

## ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

I

ვიზინ-ქიოვი, 16 ოქტომბერს. (მფიცის-ლორი). ღვინო ტერ-ღუკასოვის ატორიადი, რომელიც 6 ღვინობისთვიდამ არზრუმისაკენ მიმავალ იზმაილ-ფაშის არმიას მისდევდა, 13-ს მივიდა შირიცილოსთან, საცა იყო მეთუქანავე ჯარი მტრისა. იზმაილ-ფაშა ამ დღეს ზეიდკანთან დაბანაკდა.

II

მთავარის არმიადამ, თოქმიდამ, 10 ღვინობისთვეს გაიგზავნა სოლანლოულს იქით ხორასანისა და ქეფრი-მეისაკენ ცალკე ატორიადი, ღვინოლის ბეიმანის წინამძღოლობით.

III

დაღესტანში აჯანყებულები კიდევ

არა სცხრებინან. 5 ოქტომბერს პოლკოვნიკის თ. ნაკაშიძის ატორიადმა დაამარცხა დიდ-ძალი ურდო აჯანყებულებისა ქუტიშის აულთსან.

ამ თვისე 16-ს პოდპოლკოვნიკის ტინანოვის ატორიადმა დაამარცხა მტერი ჭამალალის ხეობაში. მღელვარება ხელახლად გაძლიერდა სამურის მაზრაში, რომელშიაც ამ ჟამად ჯარებს შესვლა არ შეუძლიან.

9 ღვინობისთვეს გავიდა ამ აჯანყებულების დასამშვიდებელად შურიდამ რვა ბატალიონი ახლად შედგენილი ჯარი, რომელსაც ღენ.-ადიუტ. მელიქოვი მიუძღვის წინ.

პარიში, 15 ოქტომბერს. ამ უკანასკნელს დღეებში გავრცელდა ხმა, ვითომ 1878 წლისათვის პარიჟში დანიშნული მსოფლიო გამოფენა სხვა ვადაზედ არის გადადებულიო; ეს ხმა ტყუილია.

ტყუილია აგრეთვე ისიც, რომ მთავრობას განზრახვა აქვს მეორედ დაითხოვოს ნაციონალური ძრებაო.

ამბობენ, მარშალი მაკ-მაჰონი ისეთის კაცებისაგან აპირებს სამინისტროს შედგენას, რომლის წევრები არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნებიან და რომელნიც საქმის კაცებად ითვლებიანო.

## ომის აზებები

აზიის ბრძოლის ველიდან

არტაანი, 10 ღვინობისთვეს. („დროების“ კორესპონდენცია). ეს არის საკვირველი, რომ ყველა ბაზრის ხმა მართლდება: ამას წინათ ამბობდნენ აქაური ოსმალოებივე, რომ იმათი ჯარი ჩვენებს დაუმარცხებიათ შარსთან და მართლაც გამართლდა; შემდეგ კიდევ გამოვიდა ხმა, რომ დამარცხებული მუხთარ-ფაშა დაიჭრა და შარსში არისო; როგორც ვხედავ პოლიტიკურ დებეშიდგან, რომელიც აქაურ საზოგადოებას მოსდის, ეგეც მართალია.

ოსმალოს ჯარის დამარცხების შემდეგ, იქიდგან ბედრი იმათი სალდათები მოვიდნენ თავიანთ სახლებში და ესენი თავიანთ ლაპარაკით უფრო ხალხს უწყვიტამენ იმედს ოსმალოს გამარჯვებაზედ.

ჩვენი ატორიადის უფროსი ღენერალი პომაროვი მოვიდა ცხენოსანი ჯარით არანტაში 5-ს ამ თვეს. ამავე დღეს ხალხმა და ჩვენ ჯარებმა პარაკლისი მოისმინეს მუხთარ-ფაშის დამარცხების გამო.

აქ ხუთ ამ თვიდგან მუდამ დღე არის დიდი ქვიფები და ლოთობა აფიცრობაში და ჩინოვნიკობაში. შემოიღეს სადილები, ერთ დღეს ერთი, მეორე დღეს მეორე, მესამე დღეს მესამე მართაფს მეჯლიშებსა და ეგრე ატარებენ დროებას.

ამ ცოტა ხანებში აპირებს ჩვენი ატორიადი სალაქშროდ გამგზავრებას, და ამის ამბავსაც შემდეგ შეგატყობინებთ.

დ. თუხარელოვი

პი როგორ აკვიწრს მუხთარ-ფაშის დამარცხებას ლონდონის გაზეთის „Daily Telegraph“-ის ყარაიალელი კორესპონდენტი:

„27 ენკენისთვეს ღვინოლის ლაზარევი 28 ბატალიონით ქვევითა ჯართადა 40 ზარბაზნით წავიდა შარაიალიდამ იმ განზრახვით, რომ ავლიარსა და მიზინქიოვს შემოჰყოლოს უკნიდამ და ამ ნაირად ამ მთებზე დაბანაკებულ მუხთარ-ფაშის არმიას უკან (შარსში) დასაბრუნებელი გზა შეუკრას, როცა წინიდამ რუსის ჯარები დაეცემოდნენ და დაამარცხებდნენ.“

„ლამით, 2 ოქტომბერს, შარაიალში მოვიდა ღენ. ლაზარევის დეპეშა, რომელშიაც იწერებოდა, რომ მონდობილობა შევასრულე, მუხთარ-ფაშის არმია წინ მიდგასო და მალე ჯარები მომაშველეთო.“

„მეორე დღეს, 3-ს ღვინობისთვეს, დილით ადრე, რუსის ჯარმა შევქნა გაცხარებული სროლა ჯერ ალაჯალისაკენ; შემდეგ ღვინოლის ბეიმანი ავლიარის მთას მიადგა, რომელიც ყველაზე უფრო გამაგრებული პოზიცია იყო ოსმალებისა და შუადღეზე იერიშით აიღო ეს მთა. ოსმალოებმა უკან დაიწიეს და იმათი ბანაკი და სამი ზარბაზანი რუსებს ჩაუვარდათ ხელში. ცოტა ხანს



# ნარევი

საქართველო

საქართველო

შრანტუზულს ენაზე გამოვიდა ამ დღეებში ერთი პატარა წიგნი შესახებ მსმალეთის სამხედრო ძალისა, დაწერილი სტამბოლის სამხედრო შკოლის პროფესორის უფ. ზბოინსკისაგან.

ამ წიგნიდამ ეტყობულობთ, რომ ამის გამოცხადებამდინ მსმალეთს ჰყოლია სულ — 813, 435 კაცი ქვევითა და ცხენოსანი ჯარი; 131, 284 ცხენი ამ ჯარისათვის, 2,012 მინდვრის ზარბაზანი და 3,411 ზღვის ნაპირებისა და ციხის ზარბაზანი.

ამას გარდა, გაჭირების დროს, მსმალეთს კიდევ 200—300 ათას კაციმდინ შეუძლიან ბრძოლის ველზე გამოიყენოსო. მოგვები კი თითქმის ორ მილიონამდე აქვს სულ ახალი სისტემისაო.

\* \*

პარიჟის სასამართლომ განიხილა ამას წინათ შემდეგი საქმე, რომელიც ჩვენთვის ცოტადენი ყურადღების ღირსია:

პარიჟის წმ. შერვეს ეკლესიის უფროსებმა გაჰყიდეს ამ ეკლესიის კუთვნილი ძველი, მეჩვიდმეტე საუკუნის ნაქსოვი სრულგებითი უფარგისი ნივთები; მაგრამ ძველი ნივთების მოვაჭრემ 2,500 მანეთი მისცა, რადგან იცოდა, რომ გაასაღებდა. მართლაც ცოტა ხანს შემდეგ მოვაჭრემ ერთ ძველ ნივთების მოყვარეს 3,500 მანეთად მიჰყიდა ეს ნივთები.

ძალაქმა უჩივლა ხსენებული ეკლესიის გამგებლებს ამ ნივთების გაყიდვისათვის.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ რადგან ეკლესიის ყოველგვარი ნივთები არის ზღვის საკუთრებაო, რადგან ეს ნივთები მხოლოდ სამუდამოდ მოსაზმარებელად აქვს ეკლესიის გამგებლებს მინდობილი და ამით უფლება არა აქვთ გაჰყიდონ ან აჩუქონ ვისმეს, თუნდაც ეკლესიის სარგებლობისთვისაო, ამის გამო წმ. შერვეს ეკლესიის გამგებლები ვალდებული არიან გამო-

იქამდინ თამამად იქცევიან, რომ კალთაში და ტანისამოსში წააგლებენ ხელს და სწევენ.

— Nous sommes ici comme un singe dans un cage! (როგორც გალიაში დამწყვდეული მაიმუნი, ისე ვართ ჩვენ აქაო!) სიტყვა ერთმა ამითგანმა.—მაგრამ ყველაზე უფრო ის მაკვირვებსო, რომ სხვაგან საზოგადოთ ქუჩის ბიჭებმა იციან სდევნა, როცა ვისმეს ან რასმეს უნახავს დაინახვენ, და აქ კი მალალ საზოგადოებასაც ჰქონია ეს ჩვეულებაო!

ძაცთ-მოყვარეობა ძხოულობს, რომ მტერსაც არ მივაყენოთ ტყუილ-უბრალოთ შეურაცხყოფა, განსაკუთრებით იმისთანა მტერს, რომელიც დაცემულია, რომელიც ჩვენს ხელშია. უიმისოთაც ესენი ზნეობით წვალებულნი და დამცირებულნი არიან; რად უნდა ვაგრძნობინოთ მუდამ, რომ ესენი თითქოს მართლა მაიმუნები არიან და შეგვიძლიან როგორც გვენებას, ისე მოვეპყრათ, ისე ვათამაშოთ...

\* \* \* მკითხველს ეხსომება, რომ ჩვენს ძალაქის რჩევაში იყო ამას წინათ ლაპარაკი იმაზე, რომ სადმე ქალაქის წრეს გარეთ გადაიტანონ სასაფლაოები, რადგან ამ სასაფლაოებისაგან მცხოვრებლების ჯან-მთელობას დიდი ზნევა ეძლევაო. ეს მოლაპარაკება მაშინ იმით გათავდა, რომ ძაეკასიის მედიცინის საზოგადოებას ჰკითხონ ჰაზრი—თუ სად და როგორ სჯობიან ძალაქის სასაფლაოების გამართვა.

ამ საზოგადოების 16 ენკენისთვის სხდომის პროტოკოლში გამოცხადებუ-

ლია ახლა, რომ საზოგადოებას დოქტორების:ძრანო-გლიადოვის, შს პარონიანცის, ძჰიუჩარიანცის, მისოკოვიჩის და სოკოლოვისაგან კამისია შეუდგენია და ამ კამისიისათვის მიუნიჭებია ხსენებულის საგნის განხილვა და შემდეგ თავის ჰაზრის გავზავნა ძალაქის რჩევაში.

\* \* \* ამევე საზოგადოების პროტოკოლში დაბეჭდილია ძუთაისის დოქტორის უფ. ბაბოვის შენიშვნა ძუთაისის უფზში მუყევის ავაამყოფობის შესახებ. ამ შენიშვნაიდან, სხვათა შორის, ეტყობულობთ, რომ ეს სენი პარველად სოფ. ძულაშში გაჩენილა აპრილისდამლევს და აქედამ შუა იპერეთისაკენ გავრცელებულა. შენიშვნაში მოყვანილის ანგარიშიდამ სიანს, რომ ძუთაისის უფზის 24 სოფლის საზოგადოებაში სულ 9,240 სული ყოფილა ავით მუყელითა და აქედამ 662 მომკვდარა.

\* \* \* რუსულის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი კორესპონდენცია თფილისიდან:

„აქ ძალიან ხშირად ჩნდება ხოლმე ცეცხლი. შურადლების ღირსია, რომ საზოგადოთ ყველა ისეთს სახლებს უჩნდება ცეცხლი, რომელიშიაც „ცეცხლის ზიანისაგან მზღვეველ საზოგადოებაში“ შეტანილი ძალაზიები იმყოფება. მრთისამად აფასებენ თავიანთ საქონელს და შემდეგ უკიდებენ ცეცხლს. ამ ცეცხლის წაკიდებაზე აქ მუდამ პროცესებია; მაგრამ საზოგადოთ ყოველთვის დამნაშავეების გამართლებით თავდება.“

უგუბდებოდა სული. ის დადიოდა ზალის ერთი კუთხიდან მეორემდინ, რომ უფრო კარგათ შეეხედნა თავის ცოლისთვის! ის დაივიწყეს, იმაზე აღარც არავინ ნაღვლობდა, მაგრამ ამას მისი დარდი არ ჰქონდა; ის იყო მზიარული, ბედნიერი... ის ჰხედავდა, რომ მისი სურვილი ასრულდა. ღიახ, სწორეთ ასრულდა. ისეთ რიგათ ასრულდა, რომ კიდევ გადააჭარბა! ისე ასრულდა, რომ ძპალონ მარკოვიჩი მზათ იყო შემდეგ წვეთწვეთით მიეცა თავისი სისხლი, ოღონდ ის დაწყველილი ბალი კი არასოდეს არ მამხდარიყო!

აქედგან წარმოსდგა ყველაფერი! როგორც ნახეს ის ქალაქის კონტებმა და პარქეთი პოლოების მცვეთელებმა, ისეთ ნაირათ მიაფრინდნენ, როგორც სანთელს ფარვანა! ღა ყველას მოთავე იყო თვითონ თავადი ჩვენი ღუბერნატორი! შემიძლიან კიდევაც ესტეკა, რომ იმან დიდი წარმატება მისცა მას ჩემს სიძულელიში. არ გავიღოდა დღე, რომ არ შემოასულიყო ჩვენთან; არ გავიღოდა დღე, რომ არ გამოეგზავნა ახლად

მოსული ყურნალები, ან ყვაილები, ან ხილი რამე თავის საკუთარის ბაღისა. ამ გვარი ყურადღებით მოპყრობა, რასაკვირველია, ყველამ შეიტყო, და არც გასაკვირველია, იმიტომ რომ ცოლი უბრალო მასწავლებელისა გახდა თითქმის პირველი პირი იმ ქალაქში. მასაკვირველი არ არის, რომ ყველა იმ ქალაქის კონტა ყმაწვილებმა ამოიჩინეს ჩემი სახლი დროს გასატარებლათ. მაგრამ გასაკვირველი ის არია, რომ ძპალონ მარკოვიჩი დროზე ვერ მიხვდა—ყველაფერი ეს რას ნიშნავდა! თითქოს თვალეში მხედველობა აღარ მქონდა! თავმოყვარეობამ მომიცვა! სიამოვნებით დაფრინავდი, რომ ჩემ ცოლს, ჩემს ლიუბას ისეთი ამბავი ჰქონდა იმ ქალაქში. ღაციუნების ღირსი ვარ! როგორც ყმაწვილი, ისე გავები მახეში; გართული ვიყავი მზიარულგებით, რომ ჩემი ცოლი გამომრთელდა-თქო; იმას კი ვერ ვხედავდი, რომ სნეული ის კი აღარა არის, თვითონ მკურნალია, რომელიმაც თავისის ხელით გაითხარა საფლაგი, რომ მიეცა სრული თავისუფლება ცოლისათვის!

(გაგრძელება)

კითხვაზე, და გააკვირვა კიდევ თავადი თავის პასუხით.

— ნება მომეცით, გაგაცნოთ ჩვენი ქალები, განაგრძელა ღუბერნატორმა და ამასთანავე გაუკეთა მკლავი ლიუბას. თქვენ ნებას მომცემთ, — მომიბრუნდა მე ღიმილით, — რომ მოგტაცოთ ერთ წუთას თქვენი ცოლი?

აღარც კი მოუცლია ჩემი პასუხისთვის, გააქანა ლიუბა პირ-და-პირ ზალის ბოლოში.

მზიარულგება იყო უნაკლული. თქვენ უნდა გენახათ, რის ყოფათ უთმობდნენ გზას ჩემს ცოლსა და იმის კავალერს! როგორის აღტაცებით შეჩერებოდნენ მას კაცები, და რა სიხარბით ჩუჩჩულობდნენ ქალე! უნდა გენახათ, მოწყალეო ხელმწიფე! მზიარულგებას სულ თან-და-თან ემატებოდა! ღა ერთის საათიც არ გამოსულა ჩვენი მისვლის შემდეგ, ყველამ ცხადთ გაიგო, რომ მეფა მზიარულგებისა არის ვილაც უბრალო მასწავლებლის ძპალონ მარკოვიჩს ძუბენკოს ცოლი! თქვენ წარმოიდგინეთ მაშინ, ძპალონ მარკოვიჩს სიამაყით როგორ

ართვან უკანვე მოგვარუნს ხუნებულო ნივთები და ფული კი დაუბრუნონო.  
 \* \* \*  
 ერთს სან-შრანესკოელ ამერიკელს სადღაც საზოგადო კარეტით მიმავალს იქაურმა ჯიბეგირებმა 3,000 მანეთი ამოაცალეს ჯიბიდან. ეს მოხდა დილის ხუთ საათზე. შვიდ საათზე პატრონმა გამოაცხადა, რომ ვინც ამ ფულს მონახავს, ამდენსა-და-ამდენს ვაჩუქებო. შუადღებზე ქურდები მონახეს. ნასადილევის ორ საათზე ნახული ფული თავის პატრონს დაუბრუნეს. იმავე დღეს, საღამოს ხუთ საათზე, ქურდები დახვრიტეს და ექვსზე დასაფლავეს.

შინც უნდა წაიკითხოს ეს სტრიქონები, დარწმუნებული ვართ, ამ წამსვე ამ სიტყვებს იტყვის: — არ ჰგვანება ამერიკელისისწრაფე, ზოგიერთ ვეფხეები: \* სასამართლოების სისწრაფესაო!

## განცხადებანი

### LA VELOURINE!

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოკმედება აქვს აღამიანის ხორცის კანზე, რომ აღბობს და ახალგაზდა აღამიანის კანს დაამსგავსებს.

ქანს ეკერება და არა სჩნის. შ. შ. ა. ი. — გამომგონი

### pommade satin

(ატლანის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვიაც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris  
 156—142

## ლოქოტორი ა. ს. ბასუბოვი

გადამიდა სოლოლაკის მუხაჟი, თ. მელიქოვის სასულიერო მკურნალობით და ხუთშაბათოვლით, დილის 9 საათიდან ვიდრე 11 საათამდე, უფასოდ მიიღებს ღარიბ ავითმყოფებსა.  
 ყოველ დღე, დილის 9 საათიდან ვიდრე 10-მდე, ვალდებულების კნემატიური მაშინის შემთხვევით, სწავლობს ავითმყოფებს, რომელთაც გული სტამბათ; ღარიბი ავითმყოფები ამ მაშინით მუშტად ისარგებლებენ.  
 (3—1)

## კავკასიის განყოფილება გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის რედაქციისა და კანტორისა

(თფილისში, ბოლოგინის პროსპექტი, ანტონოვის სახლები) იღებს  
 ა). სტატიებს, კორექსორდებებსა და ტელეგრაფულ ცნობებს შესანიშნავს აწმყო შემთხვევებზედ,  
 ბ). ხელის-მოწმებს გაზეთს „ГОЛОСЪ“-ზე ყოველგვარის ვადითა და  
 გ). შოველგვარ სახაზინო და კამკო განცხადებათ საზოგადოთ გასაგებს ენებზედ.

გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის ცალკე №. № (ეგზემპლიარი ორ შაურად) ისჯიდება:

- ა). თვილისში:  
 I და II განყოფილებაში უფ. გ. ი. ახანაშვილის მალაზიებში (ბოლოგინის პროსპექტი, მდივანის სახლები) და ბრიჭუროვთან (Кавказская Книжная Торговля) — წიგნის მალაზიებში.  
 ბ). ქუთაისში — სპ. ჩომახიძესთან (ტიპოგრაფიაში)  
 გ). ვლადიკავკაზში — უფ. წილოსანთან.
- ამას გარდა განყოფილება მოიწმეებს კომისიონერებს კავკასიის აქმთა და იქითა მხრის ადგილებში გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის ცალკე №. № გაყიდვასველად.

## გაკვეთილები თეო-რეტიულის და პრაქტიულის გუბერნიისა და კანტორისა

ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, სავაჭრო, კომისიურის და აგრეთვე სავაჭრო არითმეტიკისა.  
 აღმსი: ლაბორატორიის ქუჩა, ნამესტნიკის ბალის პირ-და-პირ, პსაროვის სახლებში, № 14.

პატივი მიქვს გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შავსა და ფერად-ფერად მელანს და აგრეთვე ყვიდი წაღებისა და ეკიპაჟების ბორბლებისათვის ისეთს მავს რომ ყველი ვერ გაათანს. ერთს ბოთლს მელანს ყვიდი, უბოთლოთ 50 კაპ, ბოთლიანათ 60 კაპ. მსურველს შეუძლია ამ ადრესით მიმართოს: არწრუნის ქარვასლაში, № 85 სტეჟან ხუდალოვი

რ.პ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	გირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი .	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 15 ლენობ.		თფილისი, 17 ლენობ.	
მცხეთა . .	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს . . . . .	1 —	ერთი კანეთი ლირს:	შქვ. თეთ. მანჯისა, ფთ.	1 90	
ბორი . . .	11 58	9 43	2 40	1 23	ბორს, ლუშეთს, სიღნაღს . . . . .	50	ლონდონში 24 პენსი.	შქვილი წითელი . . . . .	1 45	
ხაშური . .	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს . . . . .	2 —	პარიჟში 250 სანტიმი.	ქერი ფული . . . . .	1 25	
სურამი . . .	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშავას . . . . .	2 —	მსკონტი(სარგებლისფასი)	ბამბა მრეწვისა, ფუთი . . . . .	8 20	
ქვირილა . .	5 49		5 81	3 23	მსხალეთში, შვეიცარიაში . . . . .	3 —	ბანკის ბილეთი 5%	— ამერიკისა, ფუთი . . . . .	8 50	
რიონი . . .	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში . . . . .	3 50	მოგებინი(პირველისეხსი)	ბაჟნტილი ბამბა ფთ.	9 50	
სამტრედია .	7 41		7 73	4 29	ინგლისში . . . . .	3 75	მოგებინი (მეორე სეხსი)	მატყელი თუშური ფთ . . . . .	7 —	
ახ.-სენაკი .	—		8 57	4 76	ფოტა		ბირაოს ფურცლები:	— თარაქამისა ფთ. . . . .	3 50	
შოთი . . . .	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		თფილ. სააზნ. ბანკისა.	აბრეშუმის ნუხური სტ.	3 —	
შოთი . . . .	9 13				მ.ზურ. — პარასკ. და ორშ. ქახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		ხეჩოსონის ბანკის (5%)	ქონი, ფუთი . . . . .	5 80	
ახ.-სენაკი .	—		1 18	66	თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.ზურგეთს — ორშ. და პარასკ.		მოსკოვის (5%) . . . . .	ქონის სანთელი ფუთი . . . . .	8 —	
სამტრედია .	11 16		2 6	1 14	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		აქციები:	სტეარინის სანთელი, ფ.	12 54	
რიონი . . .	12 13		3 4	1 69	ლია წიგნის . . . . .	4	მდებსის სავაჭრო ბანკის	ხორცი ძროხისა, ლიტ.	54	
ქვირილა . .	1 18	ლაზე	3 98	2 21	დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . . . .	8	შოთი-თფილ. რკინ. გზის	— ცხვრისა, ლიტრა . . . . .	63	
სურამი . . .	5 12	1 10	5 33	2 96			შავი ზღვის ცეცხ. გემების	სპირტი, გრადუსი . . . . .	12	
ხაშური . . .	5 39	1 37	5 84	3 24			ქავკაზის და მერკურის	შაქარი, ბროც. ფუთი . . . . .	8 20	
ბორი . . . .	7 5	4 8	7 36	4 9			პირე. საზღვევ. საზღვ.	— ფხენილი ფუთი . . . . .	7 20	
მცხეთა . . .	8 50	6 59	9 8	5 4			პეტერბ. საზღვევ. სავ.	შავა გრვავალი, ფუთი . . . . .	26 —	
თფილისი .	9 31	7 56	9 75	5 42			მოსკოვის საზღვევ. საზ.	ზეთი ქუთჯუთისა ფუთ. . . . .	12 —	
								მქკო 1/2 იმპერიალი . . . . .	8 28	